მკითხველთა ლიგა

ქვიშის სამყარო

ფედერაციული ხომალდი ASN/29 ციდან ჩამოვარდა და დაიმსხვრა. ცოტა ხნის შემდეგ ხომალდიდან, თითქოს გატეხილი თავიდან — ტვინი, ორი ადამიანი გადმოვიდა. რამდენიმე მეტრი გაიარეს და გაჩერდნენ. ჩაფხუტები მოიხსნეს და მიმოიხედეს, ნეტა სად აღმოვჩნდითო.

პლაჟი იყო, ოღონდ უოკეანო. უფრო ზუსტად, პლაჟი თავად იყო ქვიშით გამოხატული ოკეანე, შავთეთრი კადრი სამუდამოდ გაყინული, დაუსრულებელი ღრმულებისა და თხემების.

მოჩანდა მხოლოდ დიუნები.

დაბლები, დამრეცები, გლუვები, ტალღოვანები; წვერწამახული დიუნები, სწორთხემიანი დიუნები, უსწორმასწოროთხემიანი დიუნები, დომინოს ქვებივით მიწყობილი დიუნები...

ქვიშის დიუნები. არანაირი ოკეანე.

გარემო დაკლაკნილ ხეობებს, ანუ დიუნებს შორის არსებულ ღრმულებს დაეღარა.

თუ იმ დაკლაკნილ ღარებს დიდხანს არ მოაცილებდი თვალს, სიტყვებად მოგეჩვენებოდა და იფიქრებდი, რომ თეთრი დიუნების თავზე ავბედით სიტყვებს კითხულობდი.

— ჯანდაბა! — წამოიძახა შაპირომ და გადაფურთხება მოინდომა, მაგრამ გადაიფიქრა. უკიდეგანო ქვიშამ გადააფიქრებინა. ეს ის ადგილი არ იყო, სადაც სითხის დაკარგვა მოგინდებოდა კაცს. ქვიშაში ნახევრად ჩამარხული ASN/29

მომაკვდავ ფრინველს აღარ ჰგავდა; ახლა გახლეჩილ, შიგნიდან გამომპალ გოგრას მოგაგონებდათ. ხომალდში ხანძარი გაჩნდა. საწვავის ავზები გასკდა და აფეთქდა.

— საცოდავი გრაიმსი, — თქვა შაპირომ.

— ჰო, — რენდი თვალს არ აშორებდა ქვიშის ოკეანეს, რომელიც თვალსაწიერის კიდემდე გადაჭიმულიყო.

საცოდავი გრაიმსი. ის დაიღუპა. მისგან კოსმოსური ხომალდის სასაწყობე ნაკვეთურში მხოლოდ ხორცის დიდი და პატარა ნაგლეჯები დარჩა. შაპირომ შიგ შეიხედა და გაიფიქრა: *თითქოს ღმერთმა გრაიმსის შეჭმა გადაწყვიტა, მაგრამ მისი გემო არ მოეწონა და გადმოაფურთხა. სანახაობა შაპიროსთვისაც მეტისმეტი გამოდგა.* სასაწყობე ნაკვეთურის იატაკზე გრაიმსის კბილების დანახვისას თავი ველარ შეიკავა და გული აერია.

ახლა შაპირო რენდის გონივრულ კომენტარს ელოდა, მაგრამ რენდი ხმას არ იღებდა, დიუნებსა და მათ შორის გაკლაკნილ ღრმულებს აკვირდებოდა.

— ეი! — ბოლოს და ბოლოს, სიჩუმე დაარღვია შაპირომ. — რა ვქნათ? გრაიმსი მკვდარია და ახლა მეთაური შენ ხარ. რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ? — რენდი ჯერაც ქვიშის ოკეანეს იკვლევდა მზერით. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. მშრალმა, მუდმივმა ქარმა მას სკაფანდრის რეზინჩატანებული საყელო დაუნაოჭა. — ბურთი თუ გაქვს, ფრენბურთი ვითამაშოთ. თუ არადა, არ ვიცი.

— რა? — გაუკვირდა შაპიროს.

— პლაჟზე ფრენბურთი უნდა ითამაშო, სხვა რა?

შაპირო არაერთხელ დამფრთხალა კოსმოსში. როცა ხომალდს ხანძარი გაუჩნდა, ლამის პანიკამ მოიცვა, მაგრამ ამ წუთებში წარმოუდგენელი შიში დაეუფლა.

— რამხელაა, — მეოცნებედ ჩაილაპარაკა რენდმა და წამით, შაპიროს მოეჩვენა, რომ ამხანაგი შიშს გულისხმობდა,

— უზარმაზარი პლაჟია, რომელსაც ბოლო არ უჩანს. შეგიძლია სერფინგის დაფით უამრავი კილომეტრი გაიარო, მაგრამ მაინც იქ იყო, საიდანაც დაიწყე, უკან მხოლოდ ექვსი-შვიდი ნაფეხური თუ დარჩება. და თუ იმ ადგილას ხუთ წუთს მაინც გაჩერდები, ის ნაფეხურებიც გაქრება.

— სანამ ჩამოვვარდებოდით, კომპიუტერით ტოპოგრაფიული სკანირება თუ ჩაატარე? — შაპირომ დაასკვნა, რენდი შოკშიაო; თუ ვერ გამოერკვევა, აბებს დავალევინებ, და თუ სისულელეების ბოდვას მაინც გააგრძელებს, ნემსსაც გავუკეთებო.

— რა? — დაბნეულად შეხედა რენდმა.

— ტოპოგრაფიული სკანირება?

— რა? — გაუმეორა კითხვა.

— *ტოპოგრაფიული სკანირება! სკანირება!* — აყვირდა შაპირო. — სკანირება არასდროს გსმენია, შე იდიოტო?! როგორია აქაური გარემო? რატომ არსად ჩანს ამ დედააფეთქებული პლაჟის ბოლო? სად არის ოკეანე? სად არის ტბები? სად არის უახლოესი მწვანე სარტყელი? რომელ მხარეს? სად მთავრდება ეს პლაჟი?

— სად მთავრდება? ხომ გითხარი, არსად-მეთქი! აქ არანაირი მწვანე სარტყელები, მყინვარული ქუდები და ოკეანეები არ არის. ეს უოკეანოდ დარჩენილი პლაჟია, მეგობარო. დიუნი დიუნს მისდევს დაუსრულებლად.

— კი, მაგრამ წყალი რომ გვჭირდება, რა ვქნათ?

— ვერაფერს ვიზამთ.

— ხომალდის შეკეთება... შეუძლებელია!

— კაი ერთი, შერლოკ.

შაპირო გაჩუმდა. ხმა რომ ამოეღო, აყვირდებოდა. ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, რომ აყვირებულიყო, რენდი დიუნების თვალიერებას განაგრძობდა და ყურადღებას საერთოდ არ მიაქცევდა, სანამ შაპირო ემოციისგან არ დაიცლებოდა და დამშვიდდებოდა; ან... არ დამშვიდდებოდა.

„რას უწოდებენ დაუსრულებელ ქვიშის პლაჟს? უდაბნოს — აი, რას!"

მათ თვალწინ სამყაროში უდიდესი უდაბნო გადაჭიმულიყო.

შაპიროს გონებაში რენდის პასუხი ჩაესმა: „კაი ერთი, შერლოკ".

კიდევ ცოტა ხანს იდგა რენდის გვერდით — იქნებ გამოერკვეს, ან რამე მაინც იღონოსო. ბოლოს და ბოლოს, მოთმინება ამოეწურა. იმ დიუნის წვერიდან, რომელზეც გარემოს დასათვალიერებლად ავიდნენ, ბორძიკ-ბორძიკითა და სრიალ-სრიალით დაეშვა. ჩექმები ქვიშაში ეფლობოდა.

„უნდა ჩაგითრიო, ბილ", წარმოიდგინა, რომ უდაბნო მოხუცი, მაგრამ ჯერაც ღონიერი ქალის მშრალი ხმით ელაპარაკებოდა, *„ღრმად უნდა ჩაგითრიო და... გულში მაგრად ჩაგიკრა"*.

ამან ბავშვობა გაახსენა, როცა მეგობრები პლაჟის ქვიშაში ერთმანეთს ყელამდე ფლავდნენ ხოლმე. მაშინ ძალიან ხალისობდა, ახლა ეშინოდა. ამიტომაც გონების ხმა ჩაახშო, ბედნიერი ბავშვობის გახსენების დრო არ არისო, და მოკლე და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა; მიდიოდა და უნებურად, დიუნის ფერდობისა და ზედაპირის სრულყოფილ სიმეტრიულობას ამახინჯებდა.

— სად მიდიხარ? — რენდის ხმაში პირველად გაიჟღერა დაინტერესებამ და წუხილმა.

— რადიოშუქურას ჩავრთავ, — უპასუხა შაპირომ. — SOS სიგნალს გავგზავნი. რადარებზე ხომ ვჩანდით, არა? სიგნალის მეშვეობით ჩვენს ადგილმდებარეობას აუცილებლად განსაზღვრავენ. ეს მხოლოდ დროის საკითხია. ვიცი, მცირე შანსია, მაგრამ იქნებ ვინმე გამოჩნდეს...

— რადიოშუქურა ხომალდის ჩამოვარდნისას დაიმტვრა, — თქვა რენდმა. — იქნებ შევაკეთო, — ზურგიდან გას-

ძახა შაპირომ. ლიუკში რომ შეძვრა, დამწვარი სადენებისა და მყრალი ფრეონის აირის მიუხედავად, თავი უკეთ იგრძნო. ალბათ იმიტომ, რომ რადიოშუქურა გამახსენდაო, აჯერებდა საკუთარ თავს და ეს ცოტათი აიმედებდა. თუმცა, მისთვის განწყობა რადიოშუქურას არ გამოუკეთებია, რახან რენდმა თქვა დაიმტვრაო, სავარაუდოდ, მას მართლაც არაფერი ეშველებოდა.

შაპირომ თავი უკეთ იმიტომ იგრძნო, რომ იმ დიდ, დაუსრულებელ პლაჟს და ქვიშის დიუნებს აღარ ხედავდა.

* * *

როცა კვლავ პირველი დიუნის თხემზე ავიდა, აქოშინებულს გახურებული საფეთქელი ყრუდ უძგერდა. რენდი ისევ იქ იჯდა და ქვიშის უდაბნოს თვალს არ აშორებდა. ერთი საათი გასულიყო. მზე ახლა ზედ მათ თავზე იმყოფებოდა. რენდს სახე ოფლით დასცვარვოდა, ოფლის წვეთები მის წამწამებზე მარგალიტის თვლებივით ბრწყინავდა და ცრემლებივით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

ღმერთო, მართლაც იდიოტივით გამოიყურება, გაიფიქრა შაპირომ. მით უმეტეს, რენდი შეცდა.

— რენდ!

რენდმა არ უპასუხა.

— რადიოშუქურა არ დამტვრეულა.

რენდის თვალებში წამით უცნაური შუქი აინთო, მერე ისევ ჩაქრა და მან უაზრო მზერა ისევ ქვიშის მთებზე გადაიტანა. გაყინულიო, პირველად ასე გაიფიქრა შაპირომ მათზე, მაგრამ დიუნები ალბათ მოძრაობდნენ. იქ მუდმივად ქარი ქროდა. ნელ-ნელა, ათწლეულებისა თუ საუკუნეების განმავლობაში, დიუნები გადაადგილდებოდნენ... თუ მიცოცავდნენ? დიახ, ასე უწოდებდნენ პლაჟის დიუნებს! მცოცავი დიუნები

— ეს ბავშობისას გაეგონა, ან სკოლაში სწავლისას, ან სულაც სხვა დროს. რა მნიშვნელობა ჰქონდა?

და აი, ერთ-ერთი დიუნის ფერდობიდან ჩამოცვენილი ქვიშის წვრილი ნაკადი დაინახა. თითქოს გაიგონა...

„გაიგონა, რაც გავიფიქრე“. შაპიროს ცივმა ოფლმა დაასხა. აჰა, ისევ შიშმა მოიცვა. ვის არ შეეშინდებოდა? მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რენდი ამას თითქოს ვერ ხვდებოდა, ან ხვდებოდა, მაგრამ... ფეხებზე ეკიდა.

— ცოტა ქვიშა ჩაცვენილა და საყვირიც გამტყდარა, მაგრამ გრაიმსის სათადარიგო ნაწილების ყუთში, სულ ცოტა, სამოცი საყვირი მაინც ვიპოვე, — *„საერთოდ, მისმენს თუ არა?“* — ზუსტად იქ მივაგენი, სადაც უნდა ყოფილიყო, სასაწყობე ნაკვეთურში, საწოლის უკან; არ ვიცი, ქვიშა იქ როგორ ჩაცვივდა, იქიდან გასასვლელ კარამდე სამ ლიუკში უნდა გაძვრე...

— ქვიშა იოლად ვრცელდება, ყველგან აღწევს. გახსოვს, ბავშვობისას პლაჟიდან შინ რომ ბრუნდებოდი, ბილ? დედა გიყვიროდა, ყველგან ქვიშა დაყარეო. ქვიშა დივანზე, ქვიშა სასადილო მაგიდაზე, ქვიშა შენს საწოლში. პლაჟის ქვიშა... — რენდმა გაურკვევლად აიქნია ხელი და სახეზე ისევ ის შემაშფოთებელი, მეოცნებეს ღიმილი გადაეფინა, — ...ის ყველგან მყოფია.

— თუმცა, ქვიშას რადიოშუქურა არ დაუზიანებია, — გააგრძელა შაპირომ. — ავარიული ელექტრომომარაგების სისტემა ამოქმედებულა, რადიოშუქურა ჩავრთე, ყურსასმენები გავიკეთე და SOS სიგნალის სიგრძე ორმოცდაათ პარსეკზე[1] დავაყენე; რადიოშუქურა ძრავიანი ხერხივით აგრიხინდა. ჩვენი გადარჩენის შანსი გაიზარდა.

— არავინ მოვა. არც — Beach Boys. ისინი რვა ათასი წლის წინ დაიხოცნენ. კეთილი იყოს შენი მობრძანება სერფ-

---

1 ვარსკვლავური მანძილის საზომი ერთეული, 3, 26 სინათლის წელიწადი.

სიტიში, ბილ! კეთილი იყოს შენი მობრძანება უსერფინგო სერფ-სიტიში!

შაპირომ ქვიშის დიუნებს გახედა. როდის გაჩნდა იქ ქვიშა? ტრილიონი წლის წინ? კვინტილიონი წლის წინ? არსებობდა თუ არა იმ პლანეტაზე ოდესმე სიცოცხლე? იქნებ იქ მოაზროვნე არსებები ცხოვრობდნენ? იყო თუ არა იქ მდინარეები, მწვანე სარტყელები ან ოკეანე, რომ ისინი ქვიშას ნამდვილ უდაბნოდ ექცია?

შაპირო რენდის გვერდით იდგა და ფიქრობდა. ქარი თმას უჩეჩავდა. რატომღაც სჯეროდა, რომ ოდესღაც ეს ყველაფერი არსებობდა და პლანეტის გაუდაბნოებაც თვალნათლივ წარმოიდგინა. მცოცავმა ქვიშამ თანდათან დაფარა დაბინძურებული მდინარეები და ტბები და უწყლოდ დარჩენილი ქალაქები ერთიმეორის მიყოლებით დაახრჩო და ჩაყლაპა.

სელაპის ტყავივით გლუვი და ლაპლაპა ტალახის გროვები უფრო და უფრო ფართოვდებოდა, მდინარის სათავეებსა და შესართავებს შორდებოდა და ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს ერწყმოდა. სელაპის ტყავივით გლუვი და ლაპლაპა ტალახი ჯერ ლერწამმოდებულ ჭაობად იქცა, მერე ნაცრისფერ ხრეშად და ბოლოს თეთრ, მოძრავ ქვიშად.

მთები წვერწათლილი ფანქრებივით მოკლდებოდა, ქვიშას თან ჰაერის თბილი ნაკადი მოჰქონდა და მთებში თოვლი დნებოდა; შაპირო ხედავდა ცოცხლად დამარხული ადამიანის თითებივით ქვიშიდან ამოშვერილ უმაღლეს მწვერვალებს; ბოლოს ისინიც შთანთქა და სამუდამოდ დაივიწყა იმ იდიოტურმა დიუნებმა.

„რა უწოდა ქვიშას რენდმა?

ყველგან მყოფი.

თუ ახლახან ხილვა გქონდა, ბილი-ბოი, უნდა გითხრა, რომ საზარელი ხილვა იყო.

არა, სულაც არა. საზარელი კი არა, უწყინარი ხილვა იყო.

თითქოს შუადღისას წაუძინა და სიზმარი ნახა. პლაჟზე უწყინარი და დამამშვიდებელი რა უნდა იყოს?“.

შაპირომ სასწრაფოდ ამოიგდო თავიდან ეს აზრები და ისევ ხომალდისკენ გაიხედა.

— აქ ვერავინ მოგვაგნებს, — თქვა რენდმა, — ქვიშა დაგვფარავს და ცოტა ხანში ჩვენც ქვიშად ვიქცევით. უსერფინგო სერფ-სიტი, ხვდები, ბილ?

შაპიროს ჟრუანტელმა დაუარა. ხვდებოდა. იმ დაუსრულებელი ქვიშის დიუნების შემხედვარე, როგორ ვერ მიხვდებოდა?!

— ნაბიჭვარი იდიოტი, — ჩაიბურტყუნა შაპირომ და პლაჟს გაერიდა, ხომალდს შეაფარა თავი.

ბოლოს და ბოლოს, მზე ჩავიდა. დადგა დრო, როცა პლაჟზე — ნამდვილ პლაჟზე — ფრენბურთის თამაში უნდა შეწყვიტო, მაისური ჩაიცვა და სოსისის საჭმელად და ლუდის დასალევად წახვიდე. გოგონებთან კოცნაობის დრო ჯერ წინაა. მანამდე უნდა წაიხემსო.

ASN/29-ის სურსათის მარაგში სოსისი და ლუდი არ შედიოდა.

შაპირომ მთელი ნაშუადღევი ხომალდზე არსებული წყლის მარაგის ბოთლებში გადასხმას დაუთმო. პორტატიული მტვერსასრუტით ხომალდის წყლამომარაგების გამსკდარი მილებიდან გადმოღვრილი და იატაკზე დაგუბებული წყალიც შეაგროვა. ჰიდრავლიკური სისტემის წყლის ავზის ფსკერზე დარჩენილი მცირეოდენი წყალიც კი ამოტუმბა. არც სასაწყობე ნაკვეთურის ჰაერგამწმენდი სისტემის წიაღში მოქცეული პატარა ცილინდრი დავიწყებია.

ბოლოს, გრაიმსის კაიუტაში შევიდა.

გრაიმსს აკვარიუმის თევზები ჰყავდა. აკვარიუმი სპეციალურად უწონადობის მდგომარეობისთვის, მტკიცე და გამჭვირვალე პლასტმასისგან დაემზადებინათ და ხომალდის

ჩამოვარდნისას არ დაზიანებულიყო. თუმცა, თევზები, განსხვავებით აკვარიუმისგან, გამძლეები არ ყოფილან. გრაიმსის საწოლის ქვეშ შეგორებულ აკვარიუმის ბურთში ამოტრიალებულები ტივტივებდნენ. აკვარიუმთან ერთად საწოლის ქვეშ სამი ცალი ჭუჭყიანი საცვალი და ათამდე პორნოგრაფიული ჰოლოგრაფიული კუბი ეყარა.

შაპირომ მრგვალი აკვარიუმი აიღო და დიდხანს აკვირდებოდა.

— საბრალო იორიკი! ძალიან კარგად ვიცნობდი! — თქვა და უცებ გამკივანი ხმით, შეშლილივით გადაიხარხარა. მერე გრაიმსის ბადე აიღო და აკვარიუმიდან თევზები ამოიღო. კარგა ხანს ყოყმანობდა, სად წაელო ისინი. ბოლოს, გრაიმსის საწოლთან მივიდა და ბალიში ასწია.

იქ ქვიშა ეყარა.

მიუხედავად ქვიშისა, მკვდარი თევზები ბალიშის ქვეშ დადო. მერე აკვარიუმის წყალი კანისტრაში გადაასხა, რომელშიც წყალს აგროვებდა. წყალს გაწმენდა სჭირდებოდა, მაგრამ თუნდაც წყლის გამწმენდი სისტემა გაფუჭებული იყოს, გაიფიქრა შაპირომ, რამდენიმე დღის შემდეგ აკვარიუმის წყლის დალევაზეც არ ვიტყოდი უარს მხოლოდ იმის გამო, რომ შიგ თევზის ქერცლები და ფეკალიები ტივტივებსო.

შაპირომ წყალი გაფილტრა, ორად გაყო და რენდის წილი დიუნზე აიტანა. რენდი ისევ ერთ ადგილას იდგა და არ ინძრეოდა.

— რენდ, შენი წილი წყალი მოგიტანე.

შაპირომ რენდის სკაფანდრზე ელვაშესაკრავი გახსნა და შიდა ჯიბეში ბრტყელი პლასტმასის ბოთლი ჩაუდო. ელვაშესაკრავის შეკვრას აპირებდა, როცა რენდმა მისი ხელი უხეშად მოიშორა. მერე შიდა ჯიბიდან ბოთლი ამოიღო. ბოთლზე ეწერა: ASN/**კლასის კოსმოსური ხომალდის ბოთლი №23196755. დაბეჭდილ მდგომარეობაში სტერილურობას ინარჩუნებს.**

— გაფილტრულია...

რენდმა ბოთლს ხელი გაუშვა. ბოთლი ქვიშაზე დავარდა.

— რენდ, რა გჭირს? ღმერთო, გონს როდის უნდა მოეგო? — რენდმა არ უპასუხა. შაპირო დაიხარა, ბოთლი **№23196755** აიღო და ზედ ზორბა, გასივებული მიკრობებივით მიწებებული ქვიშის მარცვლები გადაფერთხა, — რა გჭირს? — გაუმეორა შაპირომ. — ისევ შოკში ხარ? თუ ასეა, შემიძლია, წამალი დაგალევინო, ან ნემსი გაგიკეთო. არ დაგიმალავ, უკვე ვლელავ შენზე. დგახარ აქ და სიცარიელეს მისჩერებიხარ. ეს ქვიშაა! მხოლოდ ქვიშა!

— ეს პლაჟია, — თქვა მეოცნებედ რენდმა, — მოდი, ქვიშის კოშკი ავაშენოთ!

— კარგი, გასაგებია, — თქვა შაპირომ, — წავალ შპრიცსა და ამპულას მოვიტან. თუ ეგრე რობოტივით გაშეშებული უნდა იდგე, მეც ისე მოგექცევი, როგორც რობოტს.

— უკნიდან უჩუმრად თუ მომეპარები, თორემ ინიექციას ნებით არ გაგაკეთებინებ, — აუღელვებლად გააფრთხილა რენდმა, — ხელს მოგამტვრევ.

ამას იოლად შეძლებდა. შაპირო კოსმოსური ხომალდის პილოტი იყო; ასტრონავიგატორი, რომელიც მხოლოდ 70 კილოგრამს იწონიდა და 1, 65 მეტრის სიმაღლისა იყო. ხელჩართულ ბრძოლაში არაფრად ვარგოდა. მან ჩუმად შეიგინა და რენდის ბოთლიანად ხომალდისკენ მიტრიალდა.

— მგონი, ცოცხალია, — თქვა რენდმა, — მგონი კი არა, დარწმუნებული ვარ.

შაპირო კვლავ ამხანაგისკენ მიტრიალდა, მერე დიუნებს გახედა. დაისს სწორთხემიანი, გლუვზედაპირიანი დიუნები ოქროსფერი ფილიგრანისთვის დაემსგავსებინა. ოქროსფერი ანარეკლი ღრმულებში მუქდებოდა და კუპრივით შავდებოდა. მომდევნო დიუნზე სიშავეს კვლავ ოქროსფერი ანაცვლებდა. ოქროსფერი სიშავეში გადადიოდა, სიშავე — ოქროსფერში,

ოქროსფერი — ისევ სიშავეში, სიშავე — ისევ ოქროსფერში, ოქროსფერი...

შაპირომ თვალები დაახამხამა და მოიფშვნიტა.

— რამდენჯერმე ვიგრძენი, რომ ის დიუნი შეირხა, — უთხრა რენდმა შაპიროს, — ძალიან მოხდენილად ირხევა, თითქოს მოქცევა გიახლოვდება. ჰაერს სიმლაშე დაჰკრავს.

— მთლად გაგიჟებულხარ, — უთხრა მას შაპირომ. შიშისგან ჟრუანტელმა დაუარა.

რენდი არ შეპასუხებია. მისი მზერა დაისის მიერ ოქროსფრად და შავად შეღებილი ქვიშის დიუნებისა და ღრმულებისკენ იყო მიმართული.

შაპირო ხომალდში დაბრუნდა.

რენდმა მთელი ღამე დიუნზე გაატარა. იქიდან არც მეორე დღეს ჩამოსულა.

შაპირომ ხომალდიდან გამოიხედა და დაინახა. რენდს სკაფანდრი გაეხადა და ძირს დაეგდო. სკაფანდრი ქვიშას დაეფარა. მხოლოდ ცალი სახელო ამოჩრილიყო საცოდავად. შაპიროს მოეჩვენა, რომ ქვიშის უკბილო პირი ხარბად სანსლავდა რბილ ლუკმას. რატომღაც ძალიან მოუნდა დიუნზე აერბინა და რენდის სკაფანდრი გადაერჩინა.

თუმცა, ხომალდიდან არ გამოსულა. კაიუტაში იჯდა და მაშველების გამოჩენას ელოდა. ფრეონის სუნი კი გაიფანტა, მაგრამ ის გახრწნილი გრაიმსის უსიამოვნო სუნმა შეცვალა.

მაშველები არც იმ დღეს გამოჩენილან, არც იმ ღამეს და არც მესამე დღეს.

შაპიროს კაიუტაშიც გაჩნდა ქვიშა, მიუხედავად იმისა, რომ ლიუკი მჭიდროდ იყო დაკეტილი. პორტატიული მტვერსასრუტით ისრუტავდა ქვიშის მარცვლებს, როგორც პირველ დღეს დაღვრილი წყლის წვეთებს. გამუდმებით სწყუროდა. ბოთლი თითქმის დაცალა.

უკვე მასაც ეჩვენებოდა, რომ ჰაერს სიმლაშე დაჰკრავდა. ძილში თოლიების ჭყივილი ჩაესმოდა.

კიდევ... ქვიშის ხმა.

მუდმივი ქარი პირველ დიუნს ნელ-ნელა უახლოვებდა ხომალდს. პორტატიული მტვერსასრუტის წყალობით შაპიროს კაიუტაში სისუფთავე იყო, მაგრამ ხომალდის დანარჩენ ნაწილს ქვიშა ეპატრონებოდა. ჩამტვრეულ ლიუკებსა და საავენტილაციო ხვრელებში ქვიშა ცვიოდა და მინი-დიუნებს წარმოქმნიდა. ერთ-ერთი საწვავის ავზი მთლიანად ქვიშით გაივსო.

შაპიროს სახე ჩამოუხმა და წვერი წამოეზარდა.

მესამე დღის მიწურულს, სანამ მზე ჩავიდოდა, დიუნზე აძვრა რენდის მოსანახულებლად. მისთვის კანქვეშა ინიექციის გაკეთებასაც კი აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა. უკვე ხვდებოდა, რომ ის, რაც რენდს სჭირდა, შოკზე მეტი იყო; რენდი გაგიჟდა. მისთვისვე უკეთესი იქნებოდა, მომკვდარიყო. ამის გარდუვალობას ხედავდა.

შაპირო გახდა, მაგრამ რენდი მთლად გაძვალტყავებულიყო. სქელი, დაკუნთული ფეხები ჩხირივით დაწვრილებოდა და კანი ზედ დაჰკიდებოდა გაწელილ წინდასავით, ყოველთვის ქვემოთ რომ გეჩაჩება. ნეილონის წითელი ტრუსის ამარა დარჩენილი, საცურაო კოსტიუმიან მოცურავეს ჰგავდა, ოღონდ იმგვარი დაჩაჩანაკებული იმ ქვიშაში ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა. სახეზე ღია ფერის წვერი წამოზრდოდა და ღაწვებსა და ნიკაპს უფარავდა. მისი წვერი პლაჟის ქვიშისფერი იყო. წაბლისფერი თმა გახუნებოდა და ქერად გადაქცეოდა, თან შუბლზე ჩამოჰყროდა. მხოლოდ თვალებს შეენარჩუნებინა უწინდელი სილურჯე და მონდომებით აკვირდებოდა პლაჟს

(„წყეულ დიუნებს“).

და უცებ შაპირო მიხვდა, რენდის სახე ქვიშის დიუნს ემსგავსებოდა. წვერი და თმა მის კანს ახრჩობდა.

— მოკვდები, — უთხრა მას შაპირომ, — თუ ხომალდში არ დაბრუნდები და წყალს არ დალევ, მოკვდები.

რენდს ხმა არ გაუცია.

— მაშ, ეს გინდა?

დუმილი. მხოლოდ ქარის ხმა ისმოდა, სხვა არაფრის. შაპირომ შეამჩნია, რომ რენდის ყელის ნაოჭები მტვრით ევსებოდა.

— მხოლოდ ჩემი Beach Boys-ის ჩანაწერები მინდა, — ქარის შრიალივით ჩუმად უთხრა რენდმა, — ჩემს კაიუტაშია.

— ჯანდაბამდე გზა გქონია! — წამოიძახა გაბრაზებულმა შაპირომ, — იცი რა? იმედი მაქვს, სამაშველო ხომალდი შენს სიკვდილამდე მოფრინდება. სიამოვნებით ვნახავ, ძალით როგორ წაგათრევენ შენი საყვარელი პლაჟიდან. მერე ვნახოთ, რას იზამ!

— პლაჟს ვერც შენ გაექცევი, — უემოციო, ყრუ ხმით უთხრა რენდმა, თითქოს ქარი ქრის ხის ფუღუროშიო, — ყური მიუგდე, ბილ. ყური მიუგდე ტალღების ხმაურს.

რენდმა თავი გადახარა და პირი გააღო. მშრალი ღრუბელივით დამჭკნარი ენა გამოუჩნდა.

შაპირომ ხმა გაიგონა.

დიუნების ხმა გაიგონა. ისინი პლაჟის სიმღერებს მღეროდნენ. მღეროდნენ პლაჟზე ძილის შესახებ; უსიზმრო, ხანგრძლივი ძილისა და დასვენების შესახებ; გაიგონა თოლიების ჭყივილი, ქვიშის მარცვლების ცვენის, დიუნების ცოცვის ხმა. გაიგონა... გაიგონა და იგრძნო, როგორ იზიდავდა დიუნები.

— გესმის ? — იკითხა რენდმა.

შაპირომ ნესტოებში თითები ღრმად შეითხარა და სისხლი გამოიდინა. ტკივილმა თვალები დაახუჭვინა; გონს მოიყვანა. გული გამალებით უცემდა.

„ცოტაც და მეც რენდივით გამომიჭერდა! ღმერთო!“

თვალები გაახილა და დაინახა, რომ რენდი გრძელ, უკაცრიელ პლაჟზე გარიყულ ნიჟარას დამსგავსებოდა, რომელიც

ქვიშის ქვეშ დამარხული ზღვის საიდუმლოებისკენ მიილტვოდა და თვალს არ აშორებდა დიუნებს.

არა, აღარ მინდა! — ამოიოხრა შაპირომ გულის სიღრმეში.

კი, გინდა, ყური დაუგდე ტალღის ხმას, — ჩურჩულით უპასუხეს დიუნებმა.

და მიუხედავად შინაგანი წინააღმდეგობისა, შაპირო სმენად იქცა.

შინაგანი წინააღმდეგობა გაქრა.

თუ დავჯდები, უკეთ გავიგონებ, გაიფიქრა მან.

ინდიელივით ფეხმორთხმული დაჯდა და მიაყურადა.

Beach Boys-ის სიმღერები ესმოდა. ისინი გართობასა და გოგოებთან შეხვედრაზე მღეროდნენ. ქარის კვნესა ჩაესმა, ოღონდ ყურში კი არა, ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებს შორის, ბნელ ღრმულში, სადაც კოჟრისებური სხეული ხიდადაა გადებული, მარადიულობასთან ცნობიერების დამაკავშირებელ ხიდად. შაპიროს არ შიოდა, არ სწყუროდა, არ სცხელოდა და არ ეშინოდა. მხოლოდ სიცარიელეში გაჟღერებული ხმა ესმოდა.

და უცებ კოსმოსური ხომალდი მოფრინდა.

ციდან დაეშვა. ფორსაჟის კამერებმა ჰაერში ნარინჯისფერი რკალები შემოხაზა. გრუხუნმა და ზრიალმა დიუნები შეაზანზარა. რამდენიმე დიუნი ტყვიით გახვრეტილი ტვინივით ჩამოიშალა. გრუხუნმა შაპიროს ლამის თავის ქალა ახადა და წააქცია.

ფეხზე წამოხტა.

— ***ხომალდი!*** — აყვირდა ის, — ***ჯანდაბა! ხომალდი! ხომალდი! ხომალდი!***

ეს სატვირთო ხომალდი იყო, ჭუჭყიანი, ხუთას ან ხუთიათასწლოვანი ექსპლუატაციით შელახული და დანჯღრეული. ხომალდი ჰაერში გასრიალდა, ცხვირი ასწია და შვეულად დაეშვა ქვიშაზე. რეაქტიული ძრავებიდან გამოტყორცნილმა

ორთქლის ჭავლმა ქვიშა გაადნო და შავ სარკედ გადააქცია. შაპირო ქვიშის პლაჟის პირველ ჭრილობას ყიჟინით შეხვდა.

რენდმა ახალგამოღვიძებულივით მიმოიხედა ირგვლივ.

— უთხარი, რომ აქაურობას მოშორდნენ, ბილ.

— როგორ ვერ ხვდები, — მუშტებს იქნევდა გახარებული შაპირო, — გადარჩი, გამოკეთდები...

ხანძარს გამოქცეულ კენგურუსავით ხტომა-ხტომით გაიქცა ბინძური ხომალდისკენ. ქვიშა ფეხებზე ეჭიდებოდა, მის შეჩერებას ცდილობდა. შაპირომ ქვიშას წიხლი უთავაზა.

„შემეშვი, ქვიშავ! ჰენსონვილში ჩემი ტურფა მელოდება. შენ კი ვერასდროს ელირსები ქალს. შენ ხომ არასდროს გიდგება“.

ხომალდის კორპუსი გაიხსნა და იქიდან ენასავით გადმოვარდა ტრაპი. ტრაპზე ჯერ სამი ანდროიდი ჩამოვიდა, ანდროიდების კვალდაკვალ კი — ორი ადამიანი. ერთ-ერთი, მუხლუხებზე მდგარი კაცი, აშკარად კაპიტანი უნდა ყოფილიყო. თავზე კლანისსიმბოლოიანი ბერეტი ეხურა.

პირველმა ანდროიდმა საცეცი-სკანერი გამოიშვირა, მაგრამ შაპირომ ხელით მოიშორა სკანერი, კაპიტანთან მიირბინა, მუხლებზე დაეცა და გადაეხვია მუხლუხებს, კაპიტანს ფეხის მაგივრობას რომ უწევდა.

— დიუნები... რენდი... წყურვილი... ცოცხალი... დააჰიპნოზა... მე... მადლობა ღმერთს...

ანდროიდის რკინის საცეცი შაპიროს წელზე შემოეხვია, კაპიტანს მოაშორა და პირქვე დამხობილი მოშორებით გაათრია. შაპიროს ქვეშ მშრალი ქვიშა ჩუმად ხითხითებდა.

— გაუშვი, — უთხრა კაპიტანმა ანდროიდს, — Bey-at shel! Me! Me! Gat![1]

ანდროიდმა შაპირო დააგდო და უკმაყოფილო ჭრიალით განზე გადგა.

---

[1] *გამოგონილი ენა.*

— ამხელა გზა დანჯღრეული ფედერაციული ხომალდისთვის გამოვიარეთ! — ღვარძლიანად წამოიძახა კაპიტანმა.

შაპირო ატირდა. ახლა თავი კი არა, ღვიძლიც ტკიოდა.

— Dud! Gee-yat! Gat! Water-for-him-Cry!

ტიპმა, რომელიც კაპიტანთან ერთად ჩამოვიდა ტრაპზე, შაპიროს უწონადობის მდგომარეობაში გამოსაყენებელი საწოვარიანი ბოთლი გადაუგდო. შაპირომ ბოთლი მოიყუდა და ყინულივით ცივი წყლის წრუპვა დაიწყო. წყლის წვეთები ნიკაპზე ჩამოსდიოდა. წყალი გადასცდა, სული შეეხუთა, გული აერია, მერე ისევ წყლის სმა გააგრძელა.

დადი და კაპიტანი მას ყურადღებით აკვირდებოდნენ. ანდროიდები ჭრიალებდნენ.

ბოლოს და ბოლოს, შაპირომ ტუჩები მოიწმინდა და წამოჯდა. თავს ერთდროულად კარგადაც გრძნობდა და ცუდადაც.

— შაპირო შენ ხარ? — ჰკითხა კაპიტანმა.

შაპირომ თავი დაუქნია.

— რომელ კლანს ეკუთვნი?

— არც ერთს.

— ASN ნომერი?

— 29.

— ეკიპაჟი?

— სამი ადამიანი. ერთი დაიღუპა, მეორე, რენდი, აი, იქაა, — შაპირომ დიუნზე მიუთითა, მაგრამ იქით არ გაუხედავს.

კაპიტნის გამომეტყველება არ შეცვლილა. დადისა შეიცვალა.

— პლაჟმა დაატყვევა, — კითხვის დასმა აღარ აცალა კაპიტანს შაპირომ, — ეტყობა, შოკის ბრალია. დაჰიპნოზებულს ჰგავს. Beach Boys-ზე ლაპარაკობს... ნუ მკითხავთ... მაინც არ გეცოდინებათ... არც სვამს, არც ჭამს. ცუდადაა მისი საქმე.

— დად, რომელიმე ანდროიდი წაიყოლე და ეგ მეორე იქიდან ჩამოიყვანე, — უთხრა მეორე ტიპს კაპიტანმა და თავი

სინანულით გააქნია, — ფედერალური ხომალდიო, ღმერთო! არანაირი ფულადი ჯილდო!

დადმა თავი დაუკრა და ანდროიდთან ერთად დიუნისკენ გასწია. ანდროიდი ოცი წლის სერფინგისტივით გამოიყურებოდა, გაბეზრებული ქვრივების მომსახურებით მოსაწევის ფულს რომ შოულობს. თუმცა, სიარულის მანერაზე (თუნდაც ილლიებიდან გამოზრდილი დანაწევრებული საცეცები არ ჰქონოდა) ადვილად შეატყობდით, რომ ადამიანი არ იყო. როგორც ყველა სხვა მოდელის ანდროიდი, ისიც ნელა, ფრთხილად და ბუასილიანი ინგლისელი მაჟორდომივით გაჭირვებით დგამდა ნაბიჯებს.

კაპიტნის მართვის პანელზე რადიოგადამცემი აშიშინდა.

— გისმენ, — ჩასძახა შიგ კაპიტანმა.

— გომესი გელაპარაკებათ, კაპიტანო. პრობლემა გვაქვს. ტოპოგრაფიული სკანირება და ტელემეტრია გვიჩვენებს, რომ ზედაპირი არამდგრადია. ამ წუთას დაშვების შედეგად გამდნარ და გამყარებულ ზედაპირზე ვდგავართ, გარშემო ამაზე მყარი ნიადაგი არსადაა. ცუდი ისაა, რომ თანდათან ქვიშაში ვეფლობით.

— რას მირჩევ?

— აქაურობას უნდა მოვშორდეთ!

— რამდენ ხანში?

— უკვე ხუთი წუთით ვაგვიანებთ!

— მასხარა ხარ, გომეს, — კაპიტანი ღილაკს დააწვა და რადიოგადამცემი გამორთო.

შეშინებული შაპირო თვალებს აცეცებდა.

— დაივიწყეთ, რენდი. მაგას აღარაფერი ეშველება!

— ორივე მიმყავხართ! — თქვა კაპიტანმა. — ტვირთი არ მიგქონდათ, მაგრამ თქვენი გადარჩენისთვის ფედერაციამ ფულადი ჯილდო უნდა მომცეს. თუმცა, არა მგონია, ბევრი ღირდეთ. შენ მშიშარა ხარ, იმ მეორემ გააფრინა.

— არა... კაპიტანო, თქვენ ვერ ხვდებით...

— კონტრაბანდა გაქვთ? — კაპიტანს ყვითელი თვალები მძულვარედ აუელვარდა.

— კაპიტანო, გთხოვთ...

— თუ გაქვთ, მითხარი. აქ დატოვებას რა აზრი აქვს? სად არის ან რა არის? სამოცდაათი ოცდაათზე გავიყოთ. მაშველის სტანდარტული ანაზღაურებაა. მეტი რაღა გინდათ, ჰა?

უეცრად მათ ფეხქვეშ მოჭიქული ზედაპირი შეირყა და ხომალდი გადაიხარა. სატვირთო ხომალდში საყვირი აგუგუნდა. კაპიტნის რადიოგადამცემი კვლავ აშიშინდა.

— აი, ხომ ხედავთ! — აყვირდა შაპირო, — ხომ ხედავთ, რასთან გაქვთ საქმე! კიდევ გინდათ კონტრაბანდაზე ლაპარაკი? ახლავე უნდა მოვშორდეთ აქაურობას!

— მოკეტე, ლამაზო, თორემ ანდროიდებს ვეტყვი და შენთვის დამამშვიდებელს გავაკეთებინებ, — კაპიტანს მშვიდი ხმა ჰქონდა, მაგრამ მზერა შეეცვალა. რადიოგადამცემის ღილაკს დააწვა.

— კაპიტანო, ათი გრადუსით გადავიხარეთ და კიდევ უფრო მეტად დავცერდებით. დრო გვაქვს, მაგრამ ძალიან ცოტა. ხომალდი აყირავდება.

— საყრდენები გაუძლებს!

— არა, სერ. უკაცრავად, კაპიტანო, მაგრამ ვერ გაუძლებს.

— მაშინ, დაქოქე ხომალდი, გომეს.

— გმადლობთ, სერ.

დადი და ანდროიდი დიუნიდან ეშვებოდნენ. რენდი არ მოჰყავდათ. ანდროიდი თანდათან ჩამორჩა დადს. მერე უცნაური რამ მოხდა. ანდროიდი პირქვე დავარდა. კაპიტანი მოიღუშა. ანდროიდი ისე არ წაქცეულა, როგორც უნდა წაიქცეს, მეტნაკლებად, ადამიანივით. ის მალაზიაში მდგარი მანეკენივით წაიქცა, თითქოს ვიღაცამ ხელი ჰკრაო. ბრახ! ანდროიდი წაიქცა და ქვიშის ბული დააყენა.

დადი უკან დაბრუნდა და ანდროიდის გვერდით ჩაიმუხ-

ლა. ანდროიდი მექანიკურად ამოძრავებდა ფეხებს, თითქოს ფრეონით გაგრილებული მიკროსქემებისგან შექმნილი მისი ტვინი სხეულს სიარულის ბრძანებას აძლევსო. თუმცა, ფეხების მოძრაობა თანდათან შენელდა და შეწყდა. ანდროიდის ფორებიდან კვამლი ამოიჭრა, საცეცები აუცახცახდა. შემზარავი სანახაობა იყო, თითქოს ადამიანი კვდებოდა. მისი სხეულის სილრმიდან ხრაშუნი მოისმა.

— ქვიშით გაივსო, — ჩურჩულით თქვა შაპირომ.

— კარგი ერთი რა, — უკმაყოფილოდ შეხედა კაპიტანმა, — ეგ რობოტი ქვიშის ქარიშხალში ისე გაივლის, შიგ ერთი მარცვალი ქვიშაც არ მოხვდება.

— ოღონდ ამ პლანეტაზე არა!

ზედაპირი უფრო მეტად დაქანდა. ამჯერად სატვირთო ხომალდი აშკარად დაცერდა. საყრდენები აღრჭიალდა, რადგან უფრო მეტი სიმძიმე დააწვა.

— შეეშვი! — დაუძახა კაპიტანმა დადს. — შეეშვი! Gee-yat! მოდი! Come-me-for-Cry!

დადი კაპიტნისკენ გაიქცა და ანდროიდი ქვიშაში პირქვე ჩამხობილი დატოვა.

— რა ჯანდაბაა, — ჩაიბურტყუნა კაპიტანმა.

ის და დადი იმ სწრაფ, ჩიქორთულ ენაზე ალაპარაკდნენ. შაპიროს ცოტ-ცოტა ესმოდა. დადმა კაპიტანს აუწყა, რენდი დიუნიდან ჩამოსვლას უარობსო. ანდროიდს მისთვის საცეცი ჩაუვლია, ძალით წამოვიყვანო, მაგრამ უეცრად აჯაყჯაყებულა. მისი კორპუსის სილრმიდან ხრაშუნის ხმას ამოუღწევია. უცებ გალაქტიკური საბადოების კოორდინატების კომბინაციებისა და კაპიტნის ფოლკ-ჯგუფების მუსიკალური ალბომების ჩამოთვლა დაუწყია. მაშინ დადი პირადად შებმია რენდს. ცოტა ხანს უჭიდავიათ. კაპიტანმა დადს უსაყვედურა, თუ ისეთ კაცს ვერ ერევი, რომელიც სამი დღე უდაბნოს თაკარა მზის ქვეშ გდია, მაშინ ახალი თანაშემწის ძებნას დავიწყებო.

დადს შერცხვა და წამოწითლდა. თუმცა, მკაცრი, სერიოზული გამომეტყველება არ შეცვლია. შაპიროსკენ შებრუნდა. მას ლოყაზე ოთხი ნაკაწრი ეტყობოდა და უკვე უსივდებოდა.

— Him-gat big indics! — თქვა დადმა. — Strong-for-Cry. Him-gat for umby!

— Umby-him for-Cry? — კუშტად შეხედა კაპიტანმა დადს.

დადმა თავი დაუქნია.

— Umby. Beyat-shel. Umby-for-Cry!

შაპირო დაღლილ, დამფრთხალ ტვინს იჭყლეტდა, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობას მიმხვდარიყო. და მიხვდა კიდეც. Umby „გიჟს“ ნიშნავდა. *„ის ღონიერია, ღვთის გულისათვის. ღონიერია, რადგან გიჟია“.*

Umby.

მათ ფეხქვეშ ნიადაგი კიდევ ერთხელ შეზანზარდა და შაპიროს ჩექმებზე ქვიშა დაეყარა.

უკნიდან ყრუ ტკაცატკუცი მოისმა. ეს საჰაერო სარქველები გაიხსნა. შაპირო ცხოვრებაში არც ერთი ხმის გაგონებას ასე არ გაუხარებია.

კაპიტანი, უცნაური კენტავრი, რომელსაც ფეხის მაგივრად, მუხლუხები ჰქონდა, ჩაფიქრებულიყო. ბოლოს, თავი ასწია და რადიოგადამცემის ღილაკს დააწვა.

— გომეს, შესანიშნავი მონტოია ტრანკვილიზატორიანად ჩამოგზავნე!

— გასაგებია!

კაპიტანმა შაპიროს შეხედა.

— ყველაფერთან ერთად ანდროიდიც დავკარგე. ეს ანდროიდი შენი ათი წლის ხელფასი ღირდა. გაბრაზებული ვარ. შენი მეგობარი აუცილებლად უნდა გადავარჩინო.

— კაპიტანო, — შაპირომ დამსკდარი ტუჩები გაილოკა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ეს არ წაადგებოდა. არ უნდოდა გიჟი, ისტერიული ან მშიშარა გამოჩენილიყო. არადა,

კაპიტანი აშკარად გიჟადაც მიიჩნევდა, ისტერიულადაც და მშიშრადაც. ტუჩების გალოკვა კიდევ უფრო დაამძიმებდა სურათს, მაგრამ... შაპირომ თავი ვერ შეიკავა, — კაპიტანო, კიდევ ერთხელ დაჟინებით გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოვშორდეთ აქაურ...

— მოკეტე, იდიოტო, — აუღელვებლად გააწყვეტინა კაპიტანმა.

უახლოესი დიუნის თხემიდან კივილი მოისმა:

— არ შემეხოთ! არ მომიახლოვდეთ! შემეშვით! ყველას გაფრთხილებთ!

— Big indic gat umby! — პირქუშად აღნიშნა დადმა.

— Ma-him yeah-mon, — უპასუხა კაპიტანმა და შაპიროსკენ შეტრიალდა, — შენმა ამხანაგმა მართლა გააფრინა, არა?

შაპიროს გააჟრჟოლა.

— თქვენ ვერ ხვდებით, თქვენ...

ნიადაგი კვლავ შეზანზარდა. საყრდენები უფრო ხმამაღლა აკვნესდა. რადიოგადამცემი აშიშინდა. გომესის მთრთოლვარე ხმა გაისმა:

— სასწრაფოდ უნდა წავიდეთ აქედან, კაპიტანო!

— გასაგებია!

ტრაპზე ყავისფერი კაცი გამოჩნდა. ხელთათმანიან ხელში გრძელი პისტოლეტი ეჭირა. კაპიტანმა მას რენდზე ანიშნა.

— Ma-him, for Cry. Can?

შესანიშნავ მონტოიას სულაც არ აღელვებდა ის, რომ ნიადაგი დაცერებულიყო და ის ნიადაგი, სინამდვილეში, გამდნარ და გამაგრებულ ქვიშას წარმოადგენდა (იმ სარკისებურ ზედაპირს უკვე ბზარები გასჩენოდა), ის არც ხომალდის საყრდენების ოხვრას შეუწუხებია და არც პირქვე დავარდნილი ანდროიდის დანახვას, რომელიც ახლა ისე გამოიყურებოდა, თითქოს საკუთარი ფეხით ითხრიდა სამარეს. შესანიშნავმა მონტოიამ მხოლოდ რენდის შეხედა და თქვა:

— Can.

— Gat! Gat-fot-Cry! — გვერდზე გადააფურთხა კაპიტანმა, — თუ გინდა, სირი მოსწყვიტე, არ მადარდებს, — დაამატა მან, — მთავარია, როცა ავფრინდებით, სუნთქავდეს.

შესანიშნავმა მონტოიამ არხეინად დაუმიზნა პისტოლეტი რენდს. სხვა ბევრი კლანის წევრის მსგავსად, პისტოლეტი ლამის მისი სხეულის ნაწილი იყო; სასხლეტს თითი გამოჰკრა, გაისმა ჩუმი „პუჰ!“ და ლულიდან დამამშვიდებლით გავსებული ისარი გაფრინდა.

დიუნიდან ხელი ამოხტა და ისარი ჩამოხსნა.

ეს ყავისფერი ხელი იყო, ქვიშის ხელი. დიუნიდან ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით წამოიმართა და მფრინავი ისარი ჰაერში დაიჭირა. მერე ხელი დაიფშვნა და გაქრა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რაც მოხდა, მაგრამ ხელი ყველამ დაინახა.

— Giddy-hump, — ისე მშვიდად თქვა კაპიტანმა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

შესანიშნავი მონტოია მუხლებზე დაეცა.

— Aidy-May-for-Cry, bit-gat come! Saw-hoh got belly-gat-for-Cry!

გაოგნებული შაპირო მიხვდა, რომ მონტოია ჩიქორთულ ენაზე ლოცულობდა.

დიუნის თხემზე რენდი ხტოდა, მუშტებს იქნევდა და გახარებული ყიჟინებდა.

„ხელი. ეს ხელი იყო. რენდი მართალია. პლაჟი ცოცხალია, ცოცხალია...“

— Indic! — მკაცრად უთხრა მონტოიას კაპიტანმა. — Cannit! Gat!

მონტოია გაჩუმდა. ჯერ მოხტუნავე რენდს შეხედა, მერე განზე გაიხედა. სახეზე ცრუმორწმუნეობრივი შიში ეხატა.

— ოკეი, — თქვა კაპიტანმა, — საკმარისია, ვნებდები. მივდივართ, — მართვის პანელზე ორ ღილაკს დააწვა. მექანიზმი, რომელსაც მისი მუხლუხები ტრაპისკენ უნდა მიეტრი-

ალებინა, არ აგუგუნებულა; ის აღრჭიალდა. კაპიტანმა შეიგინა. მოჭიქული ზედაპირი ზანზარებდა.

— კაპიტანო! — ეს თავზარდაცემული გომესი იყო.

კაპიტანი სხვა ღილაკს დააწვა და მუხლუხები უკუსვლით დაიძრა ტრაპისკენ.

— გამიძეხი, — უთხრა კაპიტანმა შაპიროს, — უკანახედვის სარკე არ მაქვს. ქვიშის ხელი იყო. არა?

— კი.

— აქედან უნდა დავახვიო! — თქვა კაპიტანმა. — თოთხმეტი წელია, სირი აღარ მაბია, მაგრამ ახლა შიშით ლამისაა ჩავიფსა.

ბრახ! ტრაპზე ქვიშის დიუნი ჩამოიშალა. ოღონდ ეს დიუნი კი არა, მკლავი იყო.

— ჯანდაბა! — დაიღრიალა კაპიტანმა.

დიუნის თხემზე რენდი ხტოდა და გაჰყვიროდა.

კაპიტნის მუხლუხები გაიჭედა. მინი-ტანკი, რომლის ტურელიც კაპიტნის თავი და მხრები იყო, უკან გადაიზნიქა.

— რა ჯან... — მუხლუხებიდან ქვიშა ცვიოდა. — ამწიეთ! — დაუღრიალა კაპიტანმა ორ ანდროიდს, — ახლავე!

ანდროიდებმა საცეცები მუხლუხების კბილანებს გამოსდეს და კაპიტანი ასწიეს. კაპიტანი კოლეჯის პროფესორს ჰგავდა, მხიარულმა სტუდენტებმა ჰაერში რომ უნდა ააგდონ. ცერა თითით რადიოგადამცემის ღილაკს აწვებოდა.

— გომეს! ასაფრენად მოემზადე! ახლავე! ახლავე!

ტრაპის ქვეშ ქვიშა შეირხა და ყავისფერი ხელის ფორმა მიიღო. ხელმა ზევით აბობღება დაიწყო.

შაპირო ყვირილით გაექცა ხელს. კაპიტანი ანდროიდებმა შეარბენინეს ხომალდში. ტრაპი ასწიეს. ლიუკი ჩაკეტეს. ხელი ძირს დავარდა და კვლავ ქვიშად იქცა. ძრავები აგუგუნდა. ზუსტი სასტარტო პოზიციის მისაღებად საკმარისი დრო არ ჰქონდათ. აჩქარების ძალამ შაპირო ნაკვეთურების გამყოფ ტიხართან, იატაკს დაანარცხა. სანამ გონებას დაკარგავდა,

მოეჩვენა, რომ ქვიშა ყავისფერი დაკუნთული ხელებით ეპოტინებოდა ხომალდს და მის შეკავებას ცდილობდა...

ხომალდი ცაში აიჭრა.

რენდი უყურებდა, როგორ გაფრინდნენ ისინი. როცა ცაში სატვირთო ხომალდის დატოვებული კვალი გაქრა, კვლავ უკიდეგანო ქვიშის უდაბნოზე გადაიტანა მზერა.

მერე უსიტყვოდ, ფიქრიანად აიღო მუჭით ქვიშა და პირში ჩაიყარა. მეორე მუჭიც ჩაიყარა, მესამეც, მეოთხეც... მალე მუცელი კასრივით გაებერა. ქვიშა თანდათან ფარავდა მის ფეხებს.